

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება №219

ქ. ახმეტა

“23 ”აგვისტო 2011 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას, წარმოდგენილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ვანო ნასყიდაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ი/მ „ნოდარ სპარსიაშვილი“ წარმოდგენილი ხელმძღვანლის ნოდარ სპარსიაშვილს (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის, იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის №137) ქალაქ ახმეტაში „წყაროების ტყე-პარკისა“ და ღუმასტურის სასმელი წყლის სათავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, (კოდი 713) რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა ი/მ „ნოდარ სპარსიაშვილის“ საკონკურსო წინადადება, ზემოაღნიშნულის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს მომსახურება 590 (ხუთასოთხმოცდაათი) ლარად.

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – ხელშეკრულება) შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული შესრულებისათვის;
- 1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” არის შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 1.4 “მიმწოდებელი” – პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს: გამგეობის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას, ასევე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას;

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია ქ. ახმეტაში „წყაროების ტყე-პარკისა“ და დუმასტურის სასმელი წყლის სათავის სარეაბილიტაციო სამუშაოების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

## 4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

## 5. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 5-დღის ვადაში

უზრუნველყოს მომსახურების გაწევა შემსყიდველისათვის.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია მოემსახუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში საქართველოს მოქმედი ყველა საჭირო ნორმებს, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნის დაცვით.

5.3 მხარეები განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

5.4 შემსყიდველი ვალდებულია ანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ათვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულებზე ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

6.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის ეტაპის) მიღების და ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

#### 7. ანგარიშსწორება.

7.1 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო.

7.2 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია წარმოადგინოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება.

7.3 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა (ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი) და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 30- სამუშაო დღის განმავლობაში.

7.4 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

#### 8. ხელშეკრულების ცვლილებების შეტანა.

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობით, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

#### 9. უფლებების გადაცემა.

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

#### 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

10.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

10.2. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,05 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.3. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

### 11. ფორს-მაჟორი.

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეების გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და /ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით კარანტინით და სასაქონლო მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგენის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს მაჟორული ზეგავლენისაგან.

### 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა.

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### 13. გამოყენებული სამართალი.

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### 14. ხელშეკრულების ენა.

14.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე, იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მ.ოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

### 15. გადასახადები და დაბეგვრა.

15.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ

15.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

### 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2011 წლის 15- სექტემბრამდე.

### 17. სხვა პირობები.

17.1. არცერთ მხარეს არ არქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავის უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ( ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17.4. გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №88
ჩოლოყაშვილის ქ. №49	ი/მ „ნოდარ სპარსიაშვილი“
ს/ს “ლიბერთი ბანკის” ახმეტის განყოფილება	ს/ს” თიბისი ბანკი“ თელავის ფილიალი
ბ/კ-LBRTG22	ბ/კ-TBSBGE22
ს/კ-224631165	ს/კ-08001014230
ა/ა-GE67LB0120113462310000	ა/ა-GE88TB0900003602014663
ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი <i>კ. მ. მ.</i>	ი/მეწარმე-  /ნოდარ სპარსიაშვილი/
<i>კ. მ. მ.</i> <i>კობა მაისურაძე</i>	



18. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ. №88
ჩოლოყაშვილის ქ. №49	ი/მ „ნოდარ სპარსიაშვილი“
ს/ს “ლიბერთი ბანკის” ახმეტის განყოფილება	ს/ს” თიბისი ბანკი“ თელავის ფილიალი
ბ/კ-LBRTG22	ბ/კ-TBSBGE22
ს/კ-224631165	ს/კ-08001014230
ა/ა-GE67LB0120113462310000	ა/ა-GE88TB0900003602014663
<p>ახმეტის მუნიციპალიტეტის                  ამგებელის მ/შ</p>  <p>/ვანო წასყიდაშვილი/</p>	<p>ი/მეწარმე- <i>ნ. სპარსიაშვილი</i></p>  <p>/ნოდარ სპარსიაშვილი/</p>

ინდ. მეწარმე „ნოდარ სპარსიაშვილის“


რეკვიზიტები

1. ინდ. მეწარმის კოდი 08001014230
2. ს/ს „თიშისი ბანკი“ თელავის ფილიალი
3. ბ/კ TBSBGF22
4. ანგარიშის ნომერი GE88TB0900003602014663

ინდ. მეწარმე

*ნ. სპარსიაშვილი*

„ნოდარ სპარსიაშვილი“







ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 349130  
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11120721  
ამონაწერის მომზადების თარიღი: 22/08/2011 16:00:26

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: ნოდარი სპარსიაშვილი  
იურიდიული მისამართი: საქართველო, ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქ., N88  
ძველი საიდენტიფიკაციო კოდი: 124624120  
საიდენტიფიკაციო კოდი: 08001014230  
სამართლებრივი ფორმა: ინდივიდუალური მეწარმე  
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი: 19/08/2003  
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი: 116  
მარეგისტრირებული ორგანო: თელავის საგადასახადო ინსპექცია  
საგადასახადო ინსპექცია: ახმეტის მუნიციპალიტეტი

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის